ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲪᲘᲡᲠᲔ.—№ 433 ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ. 26 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ 1874.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

ᲑᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ: ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲗ—ᲪᲔᲛᲘᲗ ᲛᲐᲜ., ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲗ—ᲡᲐᲛᲘ ᲛᲐᲜ., ᲡᲐᲛᲘ ᲗᲕᲘᲗ—ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜ. ᲓᲐ ᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲘᲗ—ᲡᲐᲛᲘ ᲐᲨᲐᲠᲘ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲐᲓᲠᲘᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲝᲜ:
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ: ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲨᲘ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: ᲐᲜᲢ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲓᲠᲘᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲜᲝᲜ:
ᲕᲐ ᲗᲘᲤᲚᲘᲡᲘ, ᲕᲐ ᲙᲝᲜᲢᲝᲠᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: ᲫᲕᲔᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲛᲘᲠᲘᲛᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ.
ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ: ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ, ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ: ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ 26 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ—ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.—ᲡᲙᲐᲚᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲖᲔ.—ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ „ᲛᲖᲘᲡ ᲓᲐᲑᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.—„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ: ᲨᲝᲗᲘᲡᲘᲓᲒᲐᲜ.—ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲒᲐᲜ.—ᲡᲐᲥᲐᲜᲓᲘᲓᲒᲐᲜ.—ᲠᲣᲡᲔᲗᲘ: ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲡᲓᲔᲑᲐ ᲪᲘᲠᲘᲡ ᲥᲐᲦᲚᲓᲖᲔ.—ᲡᲐᲥᲐᲜᲓᲘᲓᲒᲐᲜ.—ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ: ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲗᲐᲜ.—ᲜᲐᲠᲘᲒᲘᲗᲐᲜ.—ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲬᲘᲡ-ᲓᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 26 ᲘᲕᲚᲘᲡ 1874 Წ.

ᲣᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲐ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲫᲚᲘᲔᲠᲐᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ. ᲨᲔᲠᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲘᲓᲒᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲗᲐᲕᲐᲓᲛᲐᲓᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲛᲘᲡᲐ ᲝᲪᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲜ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲧᲔᲑᲝᲡ, ᲔᲒ. ᲘᲒ. ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲜᲝᲡ ᲠᲐᲛᲔ. ᲐᲛ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲐᲮᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲪᲘᲠᲐ, ᲜᲐᲛᲔᲢᲣᲠ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐᲨᲘ. ᲒᲚᲔᲮᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲨᲣᲠᲐᲕᲡ ᲝᲚᲝᲜᲓᲔ ᲙᲘ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲨᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ. ᲘᲡ ᲘᲙᲚᲔᲑᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲣᲨᲐᲡ, ᲭᲘᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲒᲘᲠᲐᲕᲔᲑᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲧᲝᲤᲐ-ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲔᲑᲡ, ᲛᲘᲓᲘᲡ ᲥᲘᲠᲐᲖᲔ, ᲨᲠᲝᲛᲝᲡ ᲒᲐᲛᲬᲠᲐᲒᲔᲑᲣᲚᲐᲓ! ᲓᲐ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲓᲦᲔᲗᲐ, ᲐᲛ ᲡᲘᲓᲘᲓᲔ ᲛᲫᲮᲔᲠᲐᲚᲘ ᲘᲑᲐᲠᲯᲔᲑᲐ ᲘᲛᲐᲖᲔᲓ ᲠᲝᲛ ᲑᲐᲒᲨᲘᲛᲐ ᲬᲔᲠᲘᲡ-ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲘᲡᲬᲐᲚᲔᲚᲡ!

ᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲮᲚᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡᲨᲘᲡᲒᲐᲜ ᲡᲠᲣᲚᲘᲡᲐᲓ ᲒᲐᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲜ ᲛᲝᲜᲐᲠᲩᲘᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲡᲐᲚᲔᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲛᲓᲐ ᲛᲝᲛᲘᲡᲣᲠᲔᲓᲔᲡ. ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ ᲔᲠᲘᲪᲔᲚᲘ ᲐᲡᲢᲐᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲚᲔᲚᲐᲓ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ, ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲐᲮᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ, ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲬᲛᲘᲜᲓᲔᲑᲘᲗ! ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡᲣᲚ ᲡᲘᲪᲮᲚᲔ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ... ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛ ᲣᲐᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐᲗᲐᲒᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲜᲘᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲩᲐᲛᲝᲡᲗᲐᲕᲚᲔᲗ ᲐᲓᲔᲪᲐᲓ ᲛᲘᲡᲐᲚᲬᲘᲤᲔᲚ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲗᲕᲘᲗ; ᲛᲐᲒᲘᲐᲠᲐᲗ ᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲨᲘ ᲐᲡᲔᲣᲚᲘ ᲓᲐᲗᲐᲡᲔᲣᲚᲘ! ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ... ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛ ᲣᲐᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲘᲡᲒᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲜᲘᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲩᲐᲛᲝᲡᲗᲐᲕᲚᲔᲗ ᲐᲓᲔᲪᲐᲓ ᲛᲘᲡᲐᲚᲬᲘᲤᲔᲚ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲗᲕᲘᲗ; ᲘᲡ „ᲠᲩᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲣᲚᲝᲡ ᲨᲝᲣᲚᲛᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲑᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲘᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲝᲡ ᲐᲛᲘᲡ ᲖᲔᲘᲗᲝᲡ ᲔᲔᲓᲐᲠ ᲛᲘᲓᲘᲡ!

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲐ ᲔᲠᲗ ᲡᲠᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲣᲐᲚᲠᲘᲡᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐᲨᲘ. ᲕᲘᲜᲪ ᲭᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲡᲝᲤᲚᲐᲗ ᲘᲛᲘᲡ ᲔᲜᲐᲮᲔᲑᲐ ᲣᲗᲝᲣᲗᲝᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲙᲘᲠᲪᲚᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲡ ᲓᲘᲚᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲔᲔᲠᲡᲬᲔᲚᲘ ᲨᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲘ ᲥᲐᲗᲕᲔᲚᲘᲡᲐ! ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲔᲔᲠ ᲐᲨᲘᲜᲔᲑᲡ ᲔᲔᲠᲪ ᲪᲣᲓᲘ ᲢᲐᲠᲝᲡᲘ, ᲔᲔᲠᲪ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲔᲠᲪ ᲡᲘᲪᲘᲪᲔ! ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲘᲚᲘ ᲡᲣᲚᲘ ᲐᲛ ᲞᲐᲞᲬᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲩᲐᲒᲠᲣᲚᲘᲡ ᲡᲮᲔᲣᲚᲨᲘ ᲡᲫᲚᲔᲕᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲘᲪᲐᲤᲘᲗ ᲒᲖᲐᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲒᲖᲐᲡ! ᲠᲐ ᲓᲠᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲛᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ ᲒᲖᲐᲡ, ᲛᲙᲘᲗᲮᲔᲚᲝᲛ?!...

ᲮᲐᲚᲮᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲖᲔᲒᲐᲕᲘᲡ ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐ, ᲣᲗᲣᲗᲝᲓ ᲜᲗᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ! ᲗᲣ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲛᲨᲘ ᲡᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲐᲧᲤᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲘᲧᲝᲗ ᲡᲬᲝᲠ ᲒᲖᲐᲖᲔ, ᲔᲯᲕᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ-ᲨᲝᲑᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲢᲝᲛᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐᲛᲝᲑᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲛᲥᲜᲘᲗ ᲔᲣᲠᲩᲔᲚᲘ ᲪᲮᲠᲐ ᲓᲐ ᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲐ!

ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲔᲘᲜ ᲬᲐᲕᲐ?—ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲠᲘ, ᲡᲐᲛ ᲙᲪᲘ, ᲡᲮᲕᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲠᲩᲔᲑᲘᲐᲜ ᲘᲡᲔ ᲗᲘᲗᲘᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲨᲘᲪ ᲐᲠᲐ ᲔᲬᲐᲕᲚᲝᲡᲗᲐ ᲠᲐᲮ. ᲓᲐ ᲘᲛᲐᲗ ᲠᲘᲪᲮᲕᲨᲘᲐᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ ᲖᲝᲒᲘ ᲔᲠ ᲣᲛᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲡᲢᲘᲪᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲡ ᲓᲐ ᲘᲥᲔᲓ ᲙᲔᲓᲔᲑᲐ ᲖᲝᲒᲘ ᲠᲣᲗᲔᲗᲘᲡ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲝᲠᲝᲗ... ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲡᲐᲒᲐᲜᲬᲘᲠᲐᲖᲔ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲛᲘᲐᲬᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲣᲞᲐᲠᲐᲓᲦᲔᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲝᲠᲝᲗ. ᲡᲙᲐᲚᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲓᲦᲔᲒᲐᲜᲓᲔᲚ „ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲨᲘ“.

ᲛᲔᲡᲔᲚᲘ.

ᲬᲐᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

— ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲨᲘ ᲫᲠᲝᲮᲘᲡ ᲭᲐᲠᲘ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲣᲐ ᲘᲮᲛᲝᲪᲔᲑᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ. ᲨᲐᲠᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲘᲧᲝ ᲐᲛ ᲒᲐᲠᲘᲐ ᲭᲘᲠᲘ, ᲗᲣ ᲠᲝᲛ ᲑᲔᲠᲘ ᲘᲜᲨᲘᲗᲐᲡ, ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲨᲘ ᲠᲘᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲣᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲬᲧᲓᲔᲡᲝ. ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲨᲘ ᲠᲘᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲣᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲬᲧᲓᲔᲡᲝ. ᲮᲝᲚᲝ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲙᲘᲓᲔᲓᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲘᲛᲣᲚᲔᲑᲓᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲛᲨᲘ ᲙᲣᲠᲡ ᲓᲐᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ. ᲮᲝᲚᲝ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲐᲗᲐᲕᲔᲑᲡ ᲭᲘᲠᲘᲐᲜ ᲠᲘᲐᲜᲘ ᲘᲛᲘᲗᲐᲗᲒᲐᲜ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲢᲘᲪ ᲰᲐᲔᲠᲡ ᲓᲐ ᲑᲔᲠᲘ ᲘᲛᲘᲗᲐᲗᲒᲐᲜ ᲙᲔᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲘᲥ. ᲐᲜ ᲓᲐ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲛᲨᲘ ᲙᲣᲠᲡ ᲓᲐᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ. ᲮᲝᲚᲝ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲙᲘᲓᲔᲓᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑᲓᲐᲜ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲗᲐᲜᲬᲛᲓᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲘᲗᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲔᲑᲘ ᲐᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲘᲗᲐ. ᲑᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲪᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲖᲜᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲜᲘᲗᲘᲔᲠᲘᲗᲘᲗ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲗᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲪᲚᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲚᲐ ᲐᲥᲐᲣᲠᲘ ᲙᲪᲘ ᲛᲬᲠᲗᲚᲐᲗ ᲛᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲣᲚ ᲔᲠᲐᲡ ᲝᲪᲚᲔᲑᲝᲡ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲙᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲔᲠ ᲒᲐᲠᲘ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲛᲝᲭᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ ᲒᲐᲮᲘᲡᲬᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲬᲘᲜ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐ ᲐᲥᲐᲛᲓᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲣᲐᲮᲐᲤᲣᲤᲔᲚᲝᲛ ᲛᲝᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲘᲧᲝᲗ ᲨᲔᲭᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲙᲣᲗᲔᲡᲘᲐ, ᲠᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲛᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲥᲐᲣᲠᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲔᲚᲐᲓ. ᲜᲣᲚᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲡ ᲓᲐᲜᲘᲜᲓᲒᲐᲜ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲝᲠᲘ ᲛᲘᲚᲚᲘᲝᲜᲘᲐᲜ ᲛᲐᲜᲗᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲠᲘᲚᲘ ᲡᲘᲛᲘᲓᲘᲠ ᲒᲐᲣᲢᲐᲜᲘᲐᲗ.

ᲐᲮ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ Დ. ᲩᲮᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲛᲑᲚᲐᲗ ᲨᲝᲠᲐᲞᲜᲘᲡ ᲣᲤᲝᲖᲨᲘ ᲛᲙᲚᲔᲚᲚᲝᲛᲑᲐ ᲛᲝᲛᲮᲓᲠᲐ. ᲔᲠᲗᲘ ᲙᲪᲘ ᲒᲕᲐᲠᲐᲗ ᲞᲐᲢᲐᲠᲘᲫᲔ ᲛᲘᲬᲘᲗᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲬᲕᲐᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲛᲣᲓᲛᲘᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲮᲕᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜᲐᲪ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲡ, ᲠᲐᲡᲐᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲔᲚᲔᲜᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲠᲐᲪ ᲙᲘ ᲪᲝᲢᲝᲛᲝᲓᲜᲔ ᲮᲔᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲛᲬᲠᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲔᲚᲡᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲡ, ᲠᲐᲡᲐᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲔᲚᲔᲜᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲠᲐᲪ ᲙᲘ ᲪᲝᲢᲝᲛᲝᲓᲜᲔ ᲮᲔᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲛᲬᲠᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲔᲚᲡᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲡᲐᲒᲣᲚᲘᲡᲮᲡᲬᲛᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲥᲐᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲗᲚᲔᲑᲐ ᲔᲠᲗ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ-ᲨᲝᲑᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲢᲝᲛᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐᲛᲝᲑᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲛᲥᲜᲘᲗ ᲔᲣᲠᲩᲔᲚᲘ ᲪᲮᲠᲐ ᲓᲐ ᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲐ!

ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲔᲘᲜ ᲬᲐᲕᲐ?—ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲠᲘ, ᲡᲐᲛ ᲙᲪᲘ, ᲡᲮᲕᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲠᲩᲔᲑᲘᲐᲜ ᲘᲡᲔ ᲗᲘᲗᲘᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲨᲘᲪ ᲐᲠᲐ ᲔᲬᲐᲕᲚᲝᲡᲗᲐ ᲠᲐᲮ. ᲓᲐ ᲘᲛᲐᲗ ᲠᲘᲪᲮᲕᲨᲘᲐᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ ᲖᲝᲒᲘ ᲔᲠ ᲣᲛᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲡᲢᲘᲪᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲡ ᲓᲐ ᲘᲥᲔᲓ ᲙᲔᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲘᲥ. ᲐᲜ ᲓᲐ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲛᲨᲘ ᲙᲣᲠᲡ ᲓᲐᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ. ᲮᲝᲚᲝ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲙᲘᲓᲔᲓᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑᲓᲐᲜ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲐᲛ ᲙᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲔᲚᲐᲓ. ᲜᲣᲚᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲡ ᲓᲐᲜᲘᲜᲓᲒᲐᲜ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲝᲠᲘ ᲛᲘᲚᲚᲘᲝᲜᲘᲐᲜ ᲛᲐᲜᲗᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲠ

აი, ჩვენი ხალისი, აი, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოერება. მთელი თვეები გადის ჩვენი ქუთაისურებისთვის მარტო ქალაქის თამაშში, უმნიშვნელო, წერილმან ცხოერებაში ისრე, რომ ერთჯერაც არ მოისმის არც სასიკვდილო ხვენეში, არც სიცოცხლის გამაღიძებელი გულის ძგერა.

შძრაეი, უფერული ცხოერება, როგორსაც ქუთაისელები წარმოადგენენ, მე ძნელად მინახავს უდაბნოებშიაც, არამც თუ ჩვენ საქართველოში. მერმე გასაოცარი ის არის რომ როგორ ითმენს მეერეთის მკეიცხლი ბუნება ამ სურათს. მეატრი ერთი იმ შესაქცევართაგანია, რომლითაც საზოგადოება რამოდენიმე საათს მაინც გაერთობს თავს, თუ სხვა სარგებლობას არაფერს ნახავს. მაგრამ ქუთათურებმა მაინც არ ისარგებლეს ამ საღამოით და ქალაქის თამაშში, სხვა დ' სხვა ჯორებზედ ბაასი აარჩიეს. მასხრები ამბობენ, რომ ზოგიერთ ოჯახებში იმ ღამეს განსხვავებული ახალ გზზდა გასათხოერების გამოფენა იყოო. ბეერი ენა-ბოროტი კაცი ამასაც უმატებს, რომ ეითომც ეს გამოფენა განგებ მოგზდინოთ, რომ ამით საყმაწვილო თეატრს შნო მოეაკლოთო.

მეუ ეს მართალია, ახალგაზდობა რასაკვერველია უპასუხებს, რომ თეატრი მისთვის არ წარმოუდგენიათ, რომ ზალა შნოიანი პირებით აეესილიყო, ამიტომ რომ შნოიანი ხალხია, რაც ჭეშმარიტად უშნოობას წარმრდგენს; ეს ის სულებია, რომელთაც ზნეობითი სიმაღლე არასოდეს არ წაჰკარებია და მარტო ბნელი მტარეალობის სურათი ადეეს მათს წარსულს და აწმყოსაც.

ამ ხალხის გროვეს არასოდეს და არც ერთს პატიოსან ხალხში არ ქონია ის პატიოსანი ზნეობითი ძალა და ადგილი, რომელიც ხალხის ცხოერების ნიშანია. მაშასადამი ახალგაზდობა განა ისრეთი დ.ბრმაეებული იქნებოდა, რომ მათ მი.ქცეედა ყურადღებას და ან მათთვის წარმოსთქეამდა ერთს სიტყვას?

ნუ თუ კიდეე საეჭეოა, რომ ბოროტებას ბოლო აქვ'; რომ უმართლოება მართლიანობას თავს ეულუნაეს და დ'შინებული უნებლიეთ სტოვებს ყველაფერს, რაც კი მისთვის ძეირფასი და სასურველი იყო. ნუ თუ ძეელი ცხოერების წარმომადგენლები წარმაეალი არ არიან?

N.

22 ივლისს 1874 წ.

„დროების“ კორესპონდენცია

ზუთი, 10 ივლისს 1874 წ.

„დროების“ 429 ნომერში მოგახსენეთ რამოდენიმე სიტყვა შესახებ რკინის ხიდის გაკეთებისა რიონზედ ზუთში და მაშინ დაგპირდით, რომ, რადგანაც ამ საქმის განხილეა გადიდეა შემდგომი დროისათვის, უსათუოდ შეგატყობინებთ, როგორ გათავდება თქო.

 დღეს ზუთის პოლიც-მეისტერმა ხელ ახლაე მოუწოდა მრთელი ზუთის საზოგადოებას—ისეე უ. სმირნოვის სახლში—და განუცხადა მათ, რომ ნამდეილი საზოგადო განჩინება (დადგენილი 1869 წ.) ეერ მოიძეის პოლიციის საქმეებში, და ან სად არის, ესეც ეერ გაეიგეო, დაჰკითხა საზოგადოებას, ინებებს, თუ არა, თავისი განჩინების თანახმად 18 ათასი მან. გადახდას, ხიდის გაკეთებისათვის; ამასთანაეე დასძინა, რომ, უკეთუ საზოგადოება არ გადიხდის 18 ათას მან., მაშინ მმართველობა მოიხმარს ხიდისათვის იმ 43 ათას მან., რომელნიც ზუთი-მეფილისის რკინის გზის საზოგადოებამ მისცა ქ. ზუთს მეწისათვის.—საზოგადოებამ ამაზედ რჩეება ქმა. ერთმანეთში, რამოდენიმე იმათგანმა ხმა მაღლად ილაპარაკეს თავ-თავისი აზრი, რამოდენიმე ჩუმათ არჩეედენ, მაგრამ არც ერთიდგან სასიკეთო აზრი არ თქმულა ამ საგანზედ; ყველამ ერთობით ითხოეეს ნამდეილი საზოგადო განჩინეების წაკითხეა მათ წინაშე; წინაადმდეგ შემთხვეევში უარი თქვეს 18 ათასი მან. გადახდაზედ.

ეს საქმე დაბოლოოდა დღეს მით, რომ უ. პოლიც-მეისტერმა განუცხადა საზოგადოებას, რომ ის მრთელს საქმეს ამ საგანზედ წარუდგენს ქუთაისის ღუბერნიის მმართველს კეთილ-განსახილველად, რადგანაც საზოგადოება ერთი ხმით უარს განაცხადებს 18 ათასი მანეთის გადახდაზედ.

ზუთელი მოამბე.

ქ. ქუთაისი, 14 ივლისს 1874 წ.

ამ უკანასკნელ დროში რაღაცა ძრიელ გაცხარებული არიან შესახებ ზოგის ჩვენებურის ქალების მდგომარეობაზედ, მათს გულ-გდებულს ოჯახობაზედ და იმ უყურადღებობაზედ, რომელიც არის უმთავრესი მიზეზი ოჯახის და ქმარ-შვილის დაცარეებისა. ზოგიერთებმა შეეხო ამ პირებს „დროებაში“ საზოგადოთ და გამოა.ჩკარა მათი უსინიდისობა; თუმცალა ეჭნაც ყველამ იცოდა მათი ყოფა-ქცეევა, მაგრამ როგორღაც საზოგადო საიდუმლოს შეადგენდა, იგი ყველამ იცოდა და ერთმანეთს არ უმხელდნენ.—ამას წინეთ გამოეიდა თუ არა სტატია უფ. „აბა მიცანთ ვინა ეარის“ შექმნეს ერთი ამბაეი რამოდენიმე ხანს ამაზედ იყო ლაპარაკი: ზოგნი ამტყუნებდნენ და ზოგნი ამართლებდნენ ამ კორესპონდენციის ავტორს; ის პირები, ვიზედაც იყო დაპირდაპირებული ეს სტატია, ერთ ხანს ძრიელ შეწუხებული იყვნენ და ეისაც შეხედებოდენ ჰკითხეიდენ: „ნეტაეი რისთვის სწერენ ამისთანა სისულელეს გაზეთშია; მართალია, ამისთანა ადამიანები ჩვენში არიან, მაგრამ არ უნდა გალანძღონო.“ პირში რაღას ეეტყოდი და გულში კი ეიფიქრე: პილპილი თუ არ გიჭამიათ, პირი არ უნდა გეწეოდეთ მეთქი.

ყველას ეგონა, რომ ეს შეშთხვეეა რაოდენიც იყოს განმაელობას იქონიებდა და მოაგონებდა ზოგიერთ დედებს თავის სალმრთო მოვალეობას, მაგრამ, შენ არ მომიკვდე, მათი შვილები ისეე უწინდულათ დატანტალობენ თავ-ფეხშეველი დაჩამოტრეტილი, როგორც უწინ. იმათ არა ვინ ჰყაეს მომზდეელი; რასაკვერველია, ამ გვარი მოელით, ყმაწვილი ეერას კარგს შეიძენს, ყოველი კეთილი თვისება უფუქდებათ და ზნეობითს დაჩაგრულებაში ეარდებიან. მგ მამაცხონებული დედები თითონ ძრიელ გამოპრანჭული დაბრძანდებიან, მთელი დღე სად და სად სეირნობენ, ღმერთის მეტმა კაცმა არ იცის, და შვილების დარდი კი არა აქეთ.

მე მსურს, მკითხველო, მოგახსენო, რა მიზეზის გამო არსებობენ ამისთანა პირები, რომელიც არიან უკანასკნელში მიზეზი თავის ოჯახის და ქმარ-შვილის დამცირებისა.—აბა, წარმოიდგინეთ, ჩვენში ქალის სასწაელებელი ერთის მეტი არ არის; ხშირად სხვა და სხვა წეერები ჩვენის საზოგადოებისა აცხადებენ, რომ ეს სასწაელებელი საკმაო არ არისო: ოთხი კლასია მარტო; უმჯობესი იქნებაო, ეს შკოლა საქალო გიმნაზიათ გადაკეთდებოდესო. მეც მაგის თანახმა ვარ, ჩემო ბატონო, მაგრამ რომ ამის კურსსაც არ ასრულებენ: მიელენ თუ არა მეორე ან მესამე კლასამდის, დაიწყებენ თუ არა ცოტაოდენს ლაპარაკს რუსულათ, მაშინვე არშიყობას და ქმრის ძებნას გამოუდგებიან; ის მის დღეში გულში არ გაუელის, თუ ჯერ აღნიშნულიმათვის კურსი შეასრულონ, შემდეგ ამისა ცოტა რამე კიდეე შეისწაელონ, ცხოერებას გაეცნონ და რაოდენიც შესაძლებელი იქნება სასარგებლო დედები შეიქნენ შემდეგში. არა; დაიწყებენ თუ არა რუსულს ლაპარაკს და ტანცობას, გულს მაშინეე დაჯერებენ, რომ მეტი მათთვის საჭირო არა არის რა და დაიწყებენ ფიქრ': დრო არის სულია ან მისი პრისტავი შეეირთოო; და რადგანაც ცოტა გონიერი სუდია იმათ არ შეირთავს, ისეე პრისტავს გამოუდგებიან. ღმერთმან ნუ ქნას, რო რამე დარიგება მისცე, ასეთს ამბავს შექნიან, დაბადებას დაიწყეელი: დედ-მამასაც ჩაგასმენენ, თავის საკედილსაც მოინდომებენ.

წაჰყეებიან თუ არა ეს ქალები ქმარს, შვილები ეყოლებათ და რადგანაც მათი მოელა თითონ არ შეუძლიათ შეგზიყეანენ სახლში ვინმე სოფლის დედ-კაცს, რომელსაც მიანდობენ შვილების გამზრდას; თითონ კი დაფრიალობენ სხვა და სხვა არისტოკრატიულ სახლებში, სადაც ჭამა-სმის და ჭორიკანაობი გარდა არა ეითარი მოთხოვნილება არ არის კაცის ტეინისათვის. შეეჩე

ამისა მაინცა და მაინც უფრო საჭიროა, რომ მღედლები იმ სწავლით, რომელიც მე ზეითა მოვიყვანე იქმნენ ხელდასხმულ, რომელნიც რიგიან ცხოვრებასაც მოახერხებენ რადგანაც მკითხავ-მარჩიელების მაგიერ იმათ ექმნებათ შემოსავალი და ხალხსაც ღვიძლ-შობელ დედ-მამასავით ეყვარებათ და ეხლა რომ ადგილ-ადგილ განხეთქილებაა მრეელს და მღედლებს შუა ის მოისპობა. იქმნება სთქვას ვინმე იმერელ მღედელთაგანმა, რომ ამ დალოცვილს ეს რა უწერია და რას მიდებ-მოდებია; მაგრამ ეს იქმნება მოუფიქრებელი და უსაფუძვლო აზრი. დაეფიქრდეთ ყველანი, დრო არის, თუ რადმე შეგეძლია, რომელიმე იმისთანა საშუალებით, რომელიც მე ზეითი ავსწერე და რომელიმე სხვა საშუალებით, რომ ამ ჩვენ საწყალს ხალხს ცოტა ოდნათ მაინც მოესწინდოთ და მოეაშოროთ პირის სახეზედ, მწუხარების ოფლი....

წერა კითხვის გავრცელება ჩვენ ხალხში საჭიროა. ბევრ ადგილებში წიგნებს საჭიროებენ „სასოფლო სკოლებში“ და „ხალხშიაც“ იმერეთში **); მაგრამ მომატენი არაევინ არის ადგილობრივ და სხვა ადგილებშიაც წიგნები ძვირად ღირს; ამისთვის ძრიელ კარგი იქმნება, როგორც რუსეთში იციან წიგნების ტარება (ოფლითი-სოფლად, აქაც ისრე მოვიქცეოდეთ, რაც ხელოთ გაიყიდება, კარგი და რაც არა, შეიძლება ან პრიზოდის მღედელს და ან სხვა ვინმე პატიოსან პირს სოფელში ჩაუბაროს თვლით და ფასიც დაუნიშნოს და იმ პირმა მიიღოს შრომა, გაყიდოს და აღებული ფული წარადგინოს, სადაცა რიგი იქმნება....

428 №-ში „დროებაში“ წაეკითხე სტატია „ქიზიყზედ“, რომელმაც ისრეთი მწუხარების ბეჭედი დამსაო შუბლზედ მეტი არ შეიძლება და ის სტატია მე ერთ—ათითოდ იმერელ კეთილშობილ პირთან წავიკითხე, რომელთაც თითქმის ფულით შემწეობა ისურვეს შეძლებისაებრ; მაგრამ ათმა და ოცმა რომ ათი და ოცი მან. შეესწიროთ იმითი „ქიზიყელებს“ გმჭირვეობას ვერ შეუმსუბუქებთო, ასრე სთქვეს; უკეთესი ის იქნებაო, რომ ვინმემ იკისროს ეს ერთი საქმე თავზედა, რომლის ამსრულებელი თითქმის იმერეთის ხალხი სულ თუ არა ნახევარი მაინც იქმნება. ეს საქმე არის აი ეს: სთხოვოს თელისის და ქუთაისის გუბერნატორებს, რომ ჰქნას მიწერილება უეზდის უფროსებზედ და იმათ მამასახლისებზედ, რომ ამა და ამ საწყალი „ქიზიყელებისთვის, რომელნიც უპურობით გაჭირვებული არიან ამა და ამ ადგილებში, ჰქენით შემწეობა თითო ბათმანი, ან სიმინდი და ან პური, უფრო შეძლებულმა ორიდამ სამ ბათმანამდის, რომელსაც იმედი მაქეს იმერელი ხალხი დიდის კმაყოფილებით და სურვილით ასრულებს და მამასახლისები სოფლის ცხენებით და ურმებით მიიტანენ „რკინის გზის“ სტანციებამდის და მერმეთ იმდენი შემწეობა უნდა მოგეცეს მთავრობამ, რომ სახაზინო ხარჯით ჩავიდეს ადგილზედ ე. ი. ვინაც და სადაც საჭიროებენ. . . .

**) ბანსვენებულის ქ— შვილის სახელმძღვანელო წიგნი, ვიცი 200 მდი კაცი რომ უნდათ; მაგრამ შოვნა კი ძნელია. თუ არ არის დაბეჭდილი, იკისროს ვინმემ იმის დაბეჭდა და გამოცემა, რომელიც გამოსადეგი დაბალ კლასებში ნასწავლ მასწავლებელთათვის, რომელნიც ჩვენს იმერეთის „სასოფლო“ სკოლებში ბევრნი არიან; გარდა ამისა სხვა სახელმძღვნელებიც საჭირონი არიან და სხვა ახალი წიგნებიც რომ გამოვიდა სახალხო, აი მაგ: ალკანიანი, ქალ-ვაჟიანი, ზღაპრები და სხვა.

ეს გამოცდილება იქიდგან ვიცი, რომ 186. . წ. რომელი წელი იყო ნამდვილათ არ ვიცი, ჟოთისში საკათედრო სობორო ააშენეს ეხლანდელი თავის მორთულობით, რომელიც იყო დიდის ხნის დაწყებული და საშუალება რომ არსაიდგან იყო, ეგონენ ლუბერნატორმა მისცა წინადადება, რომ კომლზედ იმერეთში ორ ორი მან. მოიკრიფოსო, რომელზედაც დიდი სურვილი გამოაცხადა საზოგადოებამ, მოჰკრიფეს ფული და კიდეც აშენდა სობოროო და რა ურიგო იქმნება, რომ ორი მან. მაგიერ ორი ბათმანი და ან ერთი ბათმანი სიმინდი თუგნდ პური, (რომელიც მშიერი კაცისთვის სულ ერთია). შეესწიროთ ჩვენს ძმებს და შეაწერებისაგან დავიხსნათ, სხვა საშუალება ჩვენთვის მოუსეხებელია და სიმინდი, მადლობა ღმერთს, ძველიც არის და ახალიც კარგ მოსავალს გვპირდება და ეგრეთვე პურიც მართალია 9 მაისდამ თითქმის განუწყეტელი წვიმაა; მაგრამ ჯერ დიდი ზიანი თითქმის არასფრისთვის არ მიუეკია. ეხლა თქვენ იცით ჩემო ძვირფასნო „დროების“ მკითხველნო. ღმერთმა მშვიდობით გამყოფოთ, თუ „ქიზიყელებისთვის“ იზრუნოთ და თუ არა. . . . . ისიც თქვენ იცით. . .

მუჯ. . .ელი. მ—ელი. .

რუსეთი

ამ ბოლოს დროს რუსულ გაზეთებში დაიბეჭდა 17 მარტს უმაღლესად დამტკიცებული ღერბის გარდასახადთ წესდება. ამ წესდების ძალით ხმარებაში უნდა იქნეს მარტო ორგვარი ღერბის ქაღალდი, ორ-ბაზიანი და ბაურიანი. პირველზედ იწერება თხოვნები, საჩივრები, განმარტებანი, რომელნიც კერძო პირებს სასამართლოო და სამსაჯულო ადგილებში შეაქვსთ, კერძო პირებისაგან მისაღები პასუხები, კოპიოები, ანდერძები, მინდობილობანი და სხვა; მეორე რიგის ქაღალდი იხმარება თხოვნათა და საბუთებთა მიღებაში მისაცემის ხელწერილებისათვის და სხვა წვრილმანის წერილებისათვის. ამას გარდა ორი ბაზი გარდაიხადება ყოველს აქციაზედ, ობლიგაციაზედ, გრიოსა და უზრუნველ-ყოფის ფურცლებზედ და აგრეთვე იმ საზღვარს გარეთულს სარგებლიან ქაღალდ ბზედ, რომელიც რუსეთში შემოიტანებიან. ამ ორ-ბაზიანს და ბაურიანს გარდასახადს მარტივი გარდასახადი ეწოდება. ამას გარდა დაწესებულია შეფარდებითი ღერბის გარდასახადი ყველა პიროვნობისა და ქონების შესახებ წერილებზედ, რომელნიც 50 მანეთზედ ნაკლებ არა ღირან.

იმ საქმეებში, რომელნიც შეეხებიან სისხლის სამართალს, სამხედრო ვალდებულებას, ბერეთა ადგილ-მამულებისა და საზოგადოების წყობილებას, მომრიგებელ სამსაჯულოებში, ბერეთგან საბატონო მიწის იჯარით ასაღების წერილებისათვის და სოფლში ქირაჯა მუშათ დასადგომი პირობისთვის უბრალო ქაღალდი იხმარება და არა ღერბიანი.

ღერბის ქაღალდს გარდა წესდებამ შემოიღო ღერბის მარკები და ეისაც თხოვნისა და სხვა რასმის დაწერა სურს, შეუძლიანთ ამისთვის უბრალო ქაღალდი იხმაროს და მერმე ზედ მარკები დაიწებონ.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი.

ვერსალის ნაციონალური კრება სწორეთ საოცარს მაგალითს წარმოადგენს პარლამენტალურ ცხოვრებაში.

ის არ ცნობილობს რესპუბლიკას, რომელიც ხალხმა დაარსა 4-ს სეკტემბერს, მაგრამ არ უნდა არც მონარხია. ე. ი. მონარხია კი სურს აღადგინოს, მაგრამ რომელი?! ივპერია თითონ ამ კრებამ უარ-ჰყო სამუდამოთ ბორდოში; ორლეანებმა თითონ „ანაცხადეს უარი და ნაციონალურმა კრებამაც გამოაცხადა მისი წინააღმდეგობა; შამბორის მონარხია „სახელითა ღვთისათა და უზენაესი უფლებით დადგენილი“ სულ მოუხერხებელი შეიქნა ლაროშჟაკის წინა დადების შემდეგ. ჯერ ერთი, რომ პალატამ უარ-ჰყო შამბორის გამეფება, და მეორე ეს სპატიო რაინდი ჰანრი მეხუთე თითონ ცდილობს ყოველთვის გულმოდგინეთ, რომ რა არი თავის მომხრე ლეგიტიმისტებს ხელი შეუშალოს და ყოველი მათი პლანი რომელიმე წერილით, ან მანიფესტით დაარღვიოს. ერთი სიტყვით ვერსალის ნაციონალური კრება ვერ აზერხებს ვერც ერთი გვარი მონარხიის მობრუნებას. მაგრამ თითქოს ჯინისთვის არც სხვა წესის დადგენებას აპირებს.

უკანასკნელი დეპეშები გვაცნობებენ, რომ კენჭის ყრა ყოფილა მაკ-მაჰონის უფლების დასაწყობად შვიდი წლის განმავლობაში მაგრამ კრებას 633 ხმის უმრაველესობით, წინაალმდეგ 33 ხმისა უარი უყვია. ამგვარი გალანძღვა, დაუნდობლობა და გახვიბრება უპირატესი კაცისა სახელმწიფოში ძვირად მომხდარა ისტორიაში და მაკ-მაჰონი, საკვირველია, რათ არ გამოსულა თავის თანამდებობისაგან!

მეორე კენჭის ყრა ქაზიმირ პერრიეს წინადადებაზედ ჰყოფილა, ე. ი. ბურჟუაზულ რესპუბლიკის დასაარსებელად. მაგრამ, ამაზედაც უარი-უყვია დღეს პალატას. ამას წინეთ კი ესვე საგანი კარგ ძალი ხმის უმრაველესობით საპიროთ იყო. ამავე ნაციონალურმა კრებამ. რაც ერთ დღეს აღიარა მეორე დღეს დაანგრია. ამის შემდეგ შეუტანიათ ნაციონალურ კრებაში წინადადება, რომ ეს პალატა დაიშალოს, რადგანაც ვერაფერს ვერ არიგებს. მაგრამ თქვენც არ მომაკვდეთ, პალატას ამაზედაც უარი უთქვამს! ერთი სიტყვით, ამ ახირებულ კრებას თითონ ვერ მიუგნია, რა სურს.

არც ერთი სამინისტროო წინადადება არ არის, რომ უმრაველესი ხმით ცნობილ იქნეს ვერსალის პალატაში და ყველა შემთხვევაში, როდესაც რასმესი უარის თქმა სურს მაშინ დიდ ძალი კენჭი გროვდება იმისი გასაშალებელათ. ამას შემდეგ ძნელი სათქმელია. რა ბოლოო უნდა ექნეს ამ გზა-დაბნეულ პალატას?!.. რასაკვირველია იმას დიდი ხნის სიცოცხლე აღარ აქვს და მესამარეები ვერსალის ნაციონალურ კრებაშიე დგანან, როგორც სთქვა ბამბეტამ, მაგრამ როდის ითქმება: „შეუნდე მონასა შენსაო,“ ამის ბეჭითად გადწყეეტა კი ძნელია.

ნარევი

— ავსტრიელ ხაზეთებში ამ ბოლოს დროს ერთი ახირებული ჩვეულება აპირებს ფეხის გამ-გრეგას: ამ გაზეთებში ხშირად იბეჭდებიან მიცვალებულების სახელნი და გვართან იმათი ექვმბენს სახელი და გვარიც. ექვმები ძალიან შეაშფოთა ამგვარმა ჩვეულებამ, რომელსაც იმათი სახელის გატეხა შეუძლიანთ და ამიტომ ისინი ძალიან ეწინააღმდეგებიან ამ ჩვეულების შემოღებას, ისინი ეხლა ხელს იღებენ თურმე მძიმე ავთმყოფების ექიმობაზედ.

— ნიუ-იორკში ერთი შესანიშნავი სტამბის ამწყობი მაშინა გამოუგონიათ, რომელიც თურმე ფორტეპიანოს ჰგავს და რომლის შემწეობით საბეჭდავი ასოები ერთსა და იმავე დროს კიდეც ჰპოისხმება და კიდეც იწყობა თავის ალაგს, ასე რომ ყოველი წიგნის დასაბეჭდად ანაწყობი დაბეჭდის შემდეგ ხელ ახლა უნდა გადაიდნოს და ხელ ახლა ასოებათ უნდა იქცეს. ეს მაშინა სტამბის შრომას სანახევროდ ამოკლებს, რადგანაც ასოებს გადაწყობა აღარ სჭირია.

— ინგლისური გაზეთები ამბობენ, რომ ალმოსაველეთ - ინდოეთის სამინისტროში უპოვიათ ისტორიული განძი, რომელსაც ფასი არ დაედება. ეს განძი თიმურლენის ბიბლიოთეკა არის, რომელიც მას ლაშქრობის დროს შეუკრებია. ამ ბიბლიოთეკაში სხვა ძვირფას წიგნთა შორის მაჰმადის ცხოვრების შესახები ხელ-ნაწერები არის თურმე.

— ვენის ქალაქში ერთი შესანიშნავი საექიმო ოპერაცია მოუხდენია ერთს დოქტორს. ერთის ოთხმოცდა თოთხმეტის წლის მოხუცისათვის თვალის კაკლიდგან თეთრი ტყავი გადუძვრია. ვინ წარმოიდგენს ამ მოხუცის სიხარულს, რომელიც ოცდა ათი წელიწადი ბრმათ იყო თურმე და ეხლა თვალი აუხილეს.

ფეს-დება

თფილისის აზნაურების საადგილ.მამულო განკისა

თავი III

დასაგირავებელის ქონების ცეცხლისაგან უზრუნველ-ყოფა.

§ 39 თითოეული ბანკში გირაოდ წარდგენილი შენობა ცეცხლისაგან უზრუნველ-ყოფილი უნდა იქმნეს იმ ფასად, რომ ნაშენულს სესხსა და ორის წლის სარგებელზედ ნაკლები არ იყოს.

§ 40. თუ ცეცხლმა დაგირავებულს ქონებას ა�, ბანკის გამგეობა წარადგენს პოლიხის უზრუნველ-მყოფელს საზოგადოებაში, რომელმანაც ცეცხლისაგან მომხდარი ზარალი ბანკს უნდა უზღოს და არა მეპატრონეს. და ეს უკანასკნელი ბანკის გამგეობამ უნდა დაკმაყოფილოს აღრიცხვისამებრ.

§ 41. თუ დაგირავებული შენობა სრულიად დაიწვა, ან და ცეცხლს გადარჩენილი შენობის ნაწილი ბანკის ვალის გარდასახადად საკმარ არ იქმნა, მაშინ ცეცხლისაგან ნაზარალევში ასღები ფული ბანკის კასსაში უნდა გარდავიდეს, და ამას შემდეგ, სესხის მდგომარეობის დახედვით, დაგირავებული ქონება ან აღკრძალულებისაგან განთავისუფლდება, ან და გირაოდ დარჩება მხოლოდ უზღეველეს სესხის ნაწილში, რომელიც დაწესებულის საარგებლით სესხის ვადის განმავლობაში უნდა გარდახდილ იქმნეს.

§ 42. უზრუნველ-მყოფელის საზოგადოებისაგან გარდანახადი ფული დაგირავებულის ქონების პატრონს უნდა მიეცეს, თუ შენობის დაუმწეარი ნაწილი ბანკის დანარჩენი ვალის გარდასახადად საკმაოა და ამ ვალის ფასად დაუყოვნებლივ უზრუნველ-ყოფილ იქმნება.

§ 43. იმ შემთხვევაში, როდესაც უზრუნველ-მყოფელ საზოგადოებათა, თავის წესდებათაებრ, ცეცხლის ნაზარალევის გარდახდა ეპატივებათ, ბანკი გირაო ქონების დაუმწეარს ნაწილს გაჰყიდის და თუ ცეცხლი განგებ მეპატრონეს გაუჩენია, მაშინ გასასყიდად დანიშნება ვალისაგან თავისუფალი სხვა ქონებაც, რაც კი ვალის ამავალი დაბაშაულს გამოაჩინდება.

§ 44. ბანკში დაგირავებულის შენობების გადაკეთების ნება ისე არ მიიცემა, თუ შენობის პატრონი არ წარადგენს ცეცხლისაგან უზრუნველ მყოფელი საზოგადოების მოწმობას, რომ ეს საზოგადოება გადაკეთების დროს მომხდარს ცეცხლისაგან ნაზარალევს გარდიხდის ბანკის ვალის შესაფერად. და ბანკს თავის მხრით უფლება არა აქეს, რომ გირაო ადგილ-მამულში შენო-

ბის აგება, გარდაკეთება და შეკეთება დაუშალოს, თუ რომ ამით გირაოს ფასი ან შემოსავალი არ დაიკლებს, მაგრამ ეალის ვადაზედ გადუხდელობისათვის ბანკი ამ ადგილ-მამულს ახალის შენობებიანათ გაყიდის, თუმცა მას ამ შენობებისათვის დამატებითი სესხი არც კი მიეცეს.

თავი IV

დასაგირაველის ქონების დაფასება.

§ 45. ბანკში დასაგირაველის ქონების დაფასება და გარდაფასება (§§ 47 და 48), მეპატრონისაგან წარმოდგენილის აღწერილობისა გამო, უნდა მოხდეს განსხვავებულის სახელმძღვანო წესის ძალით, რომელიც ზედამხედველის კომიტეტისაგან შედგენილი უნდა იყოს და საზოგადო კრებისაგან დამტკიცებული.

§ 46. დაფასების საფუძვლად უნდა მიღებულ იქმნეს ადგილ-მამულის შემოსავალი, რომელსაც განსაზღვრავენ საიჯარო პირობანი, მიწის წლიური ღირ, შემოსავლის საიჯარო ფასი და სხვა ცნობები.

§. 47. მეპატრონისაგან შედგენილი დაფასებითი აღწერილობა უნდა შეამოწმოს საზოგადო კრებისაგან დამტკიცებულის სახელმძღვანო წესის თანახმად დამფასებელმა კომმისიამ და შემდეგ გარდასცეს დასამტკიცებლად გამგეობას, რომელსაც შეუძლიან, რომ დანაფასი შეამციროს, ან სესხის მიცემაზედ სრულიად უარი ჰსთქვას, მაგრამ ის კი არ შეუძლიან, რომ დამფასებელის კომმისიისაგან გარდაწყვეტილს ფასს მოუმატოს.

§ 48. ამ გეარის წესითვე უნდა მოხდეს ქონების გარდაგირაველაც.

§ 49. თუ ვადა-გარდაცილებულის ქონების გაყიდვით აღებული ფული ბანკის ეალებს ვერ აუვიდა, მაშინ დანაკლისი ბანკმა უნდა იზარალოს და შეაესოს § 23-ში განსაზღვრულის წესით. ამას გარდა ვინც თავდაპირველი დაფასება მოახდინა, ისინი დაფასების დროს განგების დაუდევრობისათვის პასუხს აგებენ როგორც პირად, ისე თავის ქონებით. დამფასებელთ დანაშაულობის ხარისხი სამსაჯულო წესით უნდა განსაზღვრულ იქმნეს.

თავი V

გირაოს ფურცლები

§ 50. ყველა სამუშაოდ გამოცემული გირაოს ფურცლები იმაზედ მეტი არ უნდა იყოს, რაც ბანკს უძრავის საკუთრების გირაოში გრძელის ვადით გაუსესხია და ათჯერს მეტად არ უნდა გადაჭარბის იმ ფულს, რომელიც შეაღლენადნაბოძეია თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის დასაწესებლად (§ 2. ჯ. ბ.)

შენიშვნა. დასაფუძნებლის თანხის ნაწილი, მუშაობაში მყოფის გირაოს ფურცლების მეოცედის ოდენი, ადვილად დასახურდაებელ სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდებად უნდა ინახებოდეს.

§ 51. გირაოს ფურცლები გაიცემიან უსახელოდ, ასე რომ შეიძლება ისინი ერთი ერთმანერთს დაუთმონ უბრალო გადაცემა-გადმოცემით.

შენიშვნა. გირაოს ფურცლების პატრონს ნება აქვს შეიტანოს ისინი ბანკში შესანახად. ამ შემთხვევაში გირაოს ფურცლების მაგიერ პატრონს მის სახელზედ კვიტანცია მიეცემა, გამგეობისაგან დაწესებულის ფორმით.

§ 52. გირაოს ფურცლები უნდა იქმნენ ას, ოცდორმოცდათ, ხუთას და ათას მანეთიანი.

§ 53. გირაოს ფურცლები გამოიცემიან სერიებით 2-ის იანვარიდგან და 1-ის იელისიდგან, სესხთა პირობების თანახმად.

§ 54. გირაოს ფურცლებში ეძღვევა ექვსი ნაასალი სარგებელი, რომელიც პატრონს შეუძლიან მიიღოს ნახევარ წლობით 2-ს იანვარსა და 1-ს იელისს.

§ 55. გირაოს ფურცლების სარგებელი და იმ ფურცლების დასახელებული ფასი, რომელთაც გაუქმების წილი ხედომიათ, უნდა იზღოს არა თუ ყოველ წლობით ბანკში შეტანილის ფულისა (§§ 29 და 30) და გირაოდ მიღებულის ადგილ-მამულისაგან, არამედ ბანკის დასაფუძნებელი და შემონახულის თავისაგან და მრთელის მისის სამკეიდრებელისაგანაც.

56. გირაოს ფურცლების სარგებელი კუპონების წარმდგენელს მიეცემა.

§ 57. გირაოს ფურცლები, რომელთაც გაუქმების წილი ხედომიათ, და კუპონები, რომელნიც ათის წლის განმავალობაში საზღვევრად არ წარდგენილა, კარგენ თავის ღირსებას და მათი ხეედრი ფული ბანკის სასარგებლოდ შეირიცხება.

§ 58. გირაოს ფურცლები ფინანსთ მინისტრისაგან დამტკიცებულის ფორმით იბეჭდებიან; ამ ფურცლებზედ დანშნულია სარგებლის ზომა, დასახელებული თავენი და გარდახდის ვადა და ამას გარდა მათ ახლავს კუპონების ფურცელი. გირაოს ფურცლები ამოიჭრებიან ტალონებიანი წიგნისაგან და გამოიცემიან გამგეობის თავსმჯდომარისა და სხვა ორ წევრთაგან ხელ-მოწერილი. თითოეულს გირაოს ფურცელზედ იმ კაცის ხელიც უნდა ეწეროს (გრიფეი), რომელსაც ეს საქმე ფინანსთ სამინისტროსაგან მინდობილი აქეს.

შენიშვნა. გირაოს ფურცლების ბლანკები შეიძლება დაიბეჭდოს სახელმწიფო ქაღალდების დასამზადებელს ექანიკიაში.

§ 59. გირაოს ფურცლები გაუქმდებიან: 1) ბანკის კასიდგან დასახელებული ფასის გარდახდა-თ იმ ფურცლებში, რომელთაც გაუქმების წილი ხედათ. ეს წილის ყრა უნდა მოხდეს ყოველ წლიე ორჯერ და იმდენის ფურცლების გასაუქმებელად, რამდენსაც აუვა ეალების გასასტუმრებლად წლობით გარდასახადი და აგრეთვე ყველა ის ნაღდი ფული, რაც წლის განმავალობაში სესხის ვადამდის ეალის გასასტუმრებლად შეტანილი იქნება, და 2) იმ გირაოს ფურცლების დაწვით, რომელნიც, წესდების §§ 13, 32, 40 და 43 თანახმად, ბანკის კასსაში შეტანილი იქნებიან.

§ 60. გირაოს ფურცლების წილის-ყრა და დაწვა უნდა მოხდეს ბანკის გამგეობაში სახალხოდ ზედამხედველის კომიტეტისაგან დანიშნულის სამის დეპუტატისა და ფინანსთ სამინისტროსაგან დანიშნულის კაცის თანდასწრებით.

შენიშვნა. წილის-ყრა მოხდება ყოველთვის ორის თვით წინ გირაოს ფურცლების გასაუქმებელად დანიშნულს ვადამდის.

§ 61. ერთი თვის განმავალობაში იმ დღიდგან დაწყებული, როცა წილის-ყრა მოხდა, წილ-ხედომილის გირაოს ფურცლების ნაწერები უნდა გამოჭიდონ ბანკის გამგეობაში და გამოაცხადონ § 15-ში დასახელებულს დაზეთებაში.

§ 62. გირაოს ფურცლები მიიღებიან ყოველგვარ სახაზინო იჯარის გირაოთ ფინანსთ მინისტრისაგან გარდაჭრილ ფასათ; ისინი გირაოთ მიიღებიან აგრეთვე სახელმწიფო ბანკში, იმის კანტორებსა და განყოფილებებში, სახელმწიფო ბანკის წესდების თანახმად.

§ 63. ყალბი გირაოს ფურცლების გაკეთებისათვის დამნაშავენი მსაჯულებას მიეცემიან და დაისჯებიან, როგორც ყალბი სახელმწიფო ქაღალდების გაკეთებისათვის.

თავი VI

ბანკის გამგეობა

§ 64. ბანკის საქმეებს მართავს გამგეობა, რომელიც იმყოფება ქ. თფილისს და შესდგება სამის წევრისაგან, სახელდობრ: თავსმჯდომარისა და ორის დირექტორისაგან, რომელთაც ს ზოგადო კრება ირჩევს.

ბანკის გამგეობას მიჩენილი ჰყავს დამფასებელი კომისსია ხუთის წევრისაგან, რომელთაც აგრეთვე საზოგადო კრება ირჩევს სამის წლის ვადით.

შენიშვნა. ბამგეობისა და დამფასებელი კომისსიის წევრთ რიცხვს შეიძლება, საზოგადო კრების გარდაწყვეტილებისამებრ, მოეატოს, რამდენიც საჭირო იქნება.

§ 65. თავ-მჯდომარის დაუსწრებლობისა და ავადმყოფობის დროს იმის ადგილს აირჩევენ უფროსი გამგეობის წევრი იქერს.

§ 66. დამფასებელის კომისიის თავსმჯდომარედ დანიშნება აირჩევენი ხმების რიცხვით უფროსი წევრი.

§ 67. ერთი წელიწადი რომ გაიელის იმას შემდეგ, რაც გუბერნიის აზნაურობის პირველს საჯერო კრებაში გამგეობის წევრებს აირჩევენ, ერთი გამგეობის დირექტორთაგანი წლის ყრით უნდა გამოვიდეს, მეორე წლის შემდეგ გამოვა მეორე დირექტორი და მესამე წელიწადი რომ შესრულდება გამგეობის თავსმჯდომარე გამოვა. ამას იქით ყოველწლიგამოდიან ის დირექტორები, რომელნიც თავის ვალდებულებას სამსწელს ასრულებდნენ; აგრეთვე გამგეობის თავსმჯდომარეც გამოვა სამის წლის იქით ამ თანამდებობაზედ არჩეულდგან. ბამოსული თავსმჯდომარე და დირექტორები შეიძლება ხელ-ახლად არჩეულ იქმნენ.

§ 86. ბამგეობისაგან გამოსულის წევრის მაგიერ ახლის წევრის არჩევის დროს, საზოგადო კრება კანდიდატებს გარდ (§ 69) გამოარჩევს თვისშორის ორს კაცს, რომ იმათ გამგეობისაგან გამოსა ელელის ორის წევრის თანამდებობა დაიჭირონ მომავალს, სამის წლის იქით მისაწევეს, საზოგადო კრებამდის.

§ 69. ბამგეობისა და დამფასებელი კომისსიის წევრთ აღმორჩევის დროს, აღმორჩევენ იმავე რიგით თითოეულს თანამდებობაზედ კანდიტატი, რომელთაც უნდა დაიჭირონ ეს ალაგები, თუ ეინიკობაა წევრნი დიდის ხნით სხვაგან არიან, ან ავადმყოფობენ, ან და ვადამდის გამოვიდნენ.

კანდიდატებს მიიწვევს გამგეობის თავსმჯდომარე აღრჩევითი ხმების უმრავლესობისამებრ. ეს კანდიდატები უნდა დარჩენენ თანამდებობაზედ იმ ვადამდის, რამდენთაც გამგეობისა და დამფასებელი კომისიის ფული წევრნი არჩეული იყვენ. როცა კანდიდატი გამგეობისა და დამფასებელი კომისიის წევრის თანამდებობაზედ სდგას, ყველა უფლებით სარგებლობს და ყველა ვალდებულებას ასრულებს. როგორც გამგეობისა და დამფასებელი კომისიის წევრი.

§ 70. ბამგეობისა და დამფასებელი კომისიის თავსმჯდომარეთა და წევრთ, და სხვა გამგეობაში მოსამსახურე პირთა, ნაღდი შემოსავალის წაწილს გარდა, რომელიც ამ წესდების § 90-ით განსაზღვრულია, ეძღვევთ ჯამაგირი ზედამხედველი კომიტეტისაგან გარდაჭრილის და საზოგადო კრებისაგან დამტკიცებელის ზომით.

§ 71. ბამგეობის განკარგულებაშია ბანკის საქმეები და თაენები, ამ წესდების საფუძვლით. ბამგეობა ამტკიცებს დასაგირაველის ადგილ-მამულის დანაფასს; სწყვეტს სესხის მიცემას; სდგებს აღკრძალულებას იმ ადგილ-მამულებზედ, რომელთ გირაოში სესხი გაუცია; ამზადებინებს, სამუშაოდ სცემს, აუქმებს და სწვავს გირაოს ფურცლებს; თვალ-ყურიუჭირავს, რომ სესხისაძღვებთაგან გარდასახადი დროზედ შემოსდიოდეს, რომ სარგებელი და თაენი გირაოს ფურცლებში დროზედ მიეცემოდეს; ნიშნავს მოკლე-ვადიანის სესხის გაცემას; სცდილობს, რომ ვალის დამგეიანებელს დროზედ შემოუტანელი ფული გარდაახდეინოს და ვადაზედ გარდაცილებული გარაოები გაჰყიდოს; ნიშნავს ბანკის საკუთრებად გამზდარის ადგილ-მამულების მმართველებს; თვალ-ყური უჭირავს ბანკის წიგნებისა და ანგარიშების კანონიერად წაყვანაზედ; ნიშნავს და სცვლის ბუღალტერებს, კასირებს და სხვა მოსამსახურე პირთა; ასრულებაში მოჰყავს ზედამხედველის კომიტეტის და საზოგადო კრების გარდაწყვეტილებანი; ნიშნავს უფროსებში თავის აგენტებს და ეექილებს ბანკის ინტერესის დასაცველად და დასაფარავად და საზოგადოდ ის სცდილობს ბანკის საგარეო-ბაზედ, და ყოველის მისის ვალდებულების ნამდვილად ასრულებას წესდების თანახმად; და იმ კითხვებზედ, რომელნიც ბანკის წესდებაში არ შეტანილა, გამგეობა თავის მოსაზრებას ზედამხედველს კომიტეტს წარუდგენს.

§ 72. რომ გამგეობისა და დამფასებელი კომისიის გარდაწყვეტილებას ძალა ჰქონდეს, საჭიროა რომ სხდომაზედ სამი წევრი მაინც იყოს და ამათ რიცხვში თავსმჯდომარეც.

§ 73. დამფასებელის კომმისიის ვალდებულება არის, რომ ბანკში დასაგირაველების ადგილ-მამულის დანაფასი შეამოწმოს საზოგადო კრებისაგან დამტკიცებულის სახელმძღვანო წესის თანახმად. თავის მოქმედებათ ანგარიშს დამფასებელი კომისსია წარადგენს ყოველის ნახევარ წლობით ზედამხედველს კომიტეტში, ბანკის გამგეობის საშუალებით.

§ 74. ბანკის გამგეობის და დამფასებელი კომისიის გარდაწყვეტილებანი დაიდებიან ხმის უმრავლესობით. თუ ხმები თანასწორად გაიყო, თავსმჯდომარის აზრი გადასძლევს.

ბანკის გამგეობისა და დამფასებელი კომისიის გარდაწყვეტილებანი ჩაიწერებიან ჟურნალებში და ზედ სხდომაზედ დამწერე წევრები ხელს მოაწერენ.

სამმართველოებსა და სამსაჯულოებში წარსადგენი ჟურნალისაგან გამონაწერები და აღსრულებითი ქაღალდები, ხელ-მოწერილი უნდა იქმნენ თავს მჯდომარისა და ერთის გამგეობის წევრისაგან.

§ 75. შინაგანი საქმეთ-წარმოების რიგი და სამსახურში სხვა და სხვა პირთ განწესება, მათი დათხოვნა, აგრეთვე უფლებანი და ვალდებულებანი ბანკის მოსამსახურეთა, აგენტთა და ეექილთა, დაიდგინებიან გამგეობისაგან შედგენილის სახელმძღვანო წესით.

§ 76. ბამგეობის თავსმჯდომარე და წევრნი პასუხის მგებელნი არიან მაშინ, თუ რომ იმათ დაკარგეიეს წესდება და ზედამხედველის კომიტეტის კანონიერი გარდაწყვეტილებანი; მაგრამ ისინი პასუხს არ აგებენ მესამე პირთ წინაშე, იმ ვალდებულებათათვის, რომელთაც ისინი ბანკის სახელით მიიღებენ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Іюля 1874 г. მეოქმეშვილის და ამხ. სტამბა ბამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი.—დროებითი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე